ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№62 (1572)

24–26 ივნისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს

დრო, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს

ცნობილი ინტელიგენტების კოლექტიური წერილი პრეზიდენტისადმი

ბატონო პრეზიდენტო!

ქართველი ერისათვის ამ საკმაოდ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, კიდევ ერთხელ გვინდა მოგმართოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენი უდიდესი პატივისცემა ქართველი მწერლებისადმი, რეჟისორებისადმი, მეცნიერებისა და, საერთოდ, ქართული ინტელიგენციისადმი, რომელიც არაერთხელ დაამტკიცეთ, ამჯერადაც დამტკიცდება.

სიახლე არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ხალხი დაიღალა ამდენი შუღლითა და ღვარძლით. თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდა. უმადურობა იქნებოდა არ დაგვენახა ის ძირეული ცვლილებები, რაც ამ ხნის გან-

2

ედუარდ შევარდნაძე:

არ არსებობს იმაზე უფრო ამაზრზენი მოვლენა, ვიდრე სატელეფონო საუბრების მოსმენაა

3

პრეზიდენტმა ჯავახიშვილის მეორედ წარდგენა გადაწყვიტა

შაბათს ედუარდ შევარდნაძემ მოქალაქეთა კავშირის წინაშე უკანასკნელად დააყენა ჯავახიშვილის კანდიდატურისათვის პარლამენტის მაჩარდაჭერის საკითხი.

პრეზიდენტმა თავის კაბინეტში, სადაც მოქალაქეთა კავშირის პირველი პირები იმყოფებოდნენ, ოფიციალურად განაცხადა თავისი განზრახვა პარლამენტს წინაშე ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურის მეორედ წარდგენის შესახებ და აღნიშნა, რომ „მისი რჩეულის ირგვლივ შექმნილ პრობლემებს წერტილი უნდა დაესვას".

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტმა 9 კანდიდატურა უნდა წარადგინოს პარლამენტის წინაშე ეროვნული ბანკის საბჭოში დასამტკიცებლად. საბჭოს წევრებმა თავად უნდა შეარჩიონ ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა, რომელიც, შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა დაადასტუროს.

უკვე ერთი წელია, რაც ედუარდ შევარდნაძე ამაოდ ცდილობს ნოდარ ჯავახიშვილის დამტკიცებას ქვეყნის მთავარ ბანკრად. თუმცა, ბანკის საბჭოს წევრობაზე პირველ კანდიდატურად წარმოდგენილმა ჯავახიშვილმა დამტკიცების პირველ ეტაპიც ვერ გაიარა.

გაზაფხულზე პარლამენტმა, უფრო ზუსტად საპარლამენტო უმრავლესობამ, ჩაგდო ჯავახიშვილის კანდიდატურა და შევარდნაძემ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც „პარლამენტის დიდი შეცდომა".

სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ჯავახიშვილის მეორადი წარმოდგენის შემთხვევაში ამ კანდიდატურას მეორედ ჩავარდნა ელის.

ჟვანია თვლის, რომ მიუხედავად მისი პირადი მაჩარდაჭერისა შევარდნაძის შერჩეული კანდიდატურისადმი, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ნოდარ ჯავახიშვილისადმი საპარლამენტო უმრავლესობის ნეგატიური დამოკიდებულების დაძლევა.

ედუარდ შევარდნაძემ, გარკვეულია რა არსებული ვითარების სირთულეში, როგორც ჩანს, შაბათის შეხვედრა თავისი არჩევანის ურყეობის დემონსტრირებისათვის გამოიყენა. შევარდნაძის მიერ შეხვედრაზე ნათქვამმა სიტყვებმა ამის ეჭვი არ დაუტოვა მოქალაქეთა კავშირს, რომ პარლამენტში ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურის ჩავარდნა აღარ უნდა განმეორდეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოში დასამტკიცებლად ერთი და იმავე კანდიდატურის მხოლოდ ორჯერ წარდგენის უფლება აქვს. შევარდნაძემ ჯავახიშვილის კანდიდატურის პირველი ჩავარდნა მოითმინა. მეორეს იგი უკვე საბოლოოდ შეაფასებს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პრეზიდენტის პირდაპირი კონფრონტაციაზე გამოწვევას.

ინგა დალიანი

კოლექტივო, მხარი მხარს, აბა ჰე, აბა ჰე!..

ნოდარ გრიგალაშვილი

საზოგადოების ძვირფასო და პატივცემულო წევრებო, თითოეულ თქვენთაგანს, ცხადია, უფლება გაქვთ ცალ-ცალკეცა და ერთად თავმოყრილებმაც მხარი დაუჭიროთ საქართველოს უშიშროების მინისტრს. ასევე, იმის უფლებაც გაქვთ, რომ ყველა, ვისაც უშიშროების მინისტრის რიგი ქმედებანი არ მოსწონს, გამოაცხადოთ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსურნედ...

მაგრამ არავითარი უფლება არ გაქვთ საჯაროდ გაცხადებული ეს სიცრუე მიაწეროთ თქვენი დაწესებულებების კოლექტივის წევრებსაც.

ბევრ თქვენთაგანს მართლაც დიდ პატივს ვცემ და, სამწუხაროა, რომ ისეთ ტექსტზე მოგიწიათ ხელმოწერამ, რომლიდანაც ავადსახსენებელი რეჟიმის სუსხი იგრძნობა.

ნუთუ ის, ვინც თქვენსავით არ ფიქრობს, ანუ ვისაც ბატონი კვირაია არ მოსწონს, მართლა ქვეყნის დესტაბილიზაციის მომხრე, ანუ ხალხის მტერია? ამგვარი მეთოდებით შეთითხნილი წერილები

2

„სიგარეტის ქვეყანა"

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ლამაზი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა ულამაზესი ხალხი, ჰქონდათ ულამაზესი ქალაქები და სოფლები. განსაკუთრებულად მშვენიერი იყო მათი დედაქალაქი, გაშლილი საუცხო ბუნებრივ ლანდშაფტზე, რომლის მშვენებაც იყო მთაწმინდა და ფუნიკულიორი, სადაც უხვად მოედინებოდა მრავალი ბუნებრივად თბილი წყლები. ერთი უცნაურობა სჭირდა ამ ლამაზი ქვეყნის მოსახლეობას: ყველა მოქალაქე იყო აბსოლუტური მაქსიმალისტი, ლიდერობისათვის დაბადებული და სულით პოეტი. ამ ქვეყანაში ასეთი წესი მოქმედებდა: ნებისმიერი, მსოფლიოში წლების განმავლობაში აპრობირებული კანონი აუცილებლად უნდა შეეცვალათ და თავიდან უნდა შეექმნათ. მაგალითად: ველოსიპედი აქ თავიდან გამოიგონეს. კიდევ ერთი ასეთი თვისება ჰქონდა აქაურ მოსახლეობას: დიდი თუ პატარა, ბავშვი თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი, ყველანი იყვნენ თავგამოდებული მწეველები და ყოველდღიურად სჭირდებოდათ მილიონობით ღერი სიგარეტი აქედან გამომდინარე, თამბაქოს ნაწარმი ითვლებოდა სტრატეგიულ პროდუქტად და რადგან საკუთარი პროდუქციის წარმოების ხარისხი და ასორტიმენტი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომაც სიგარეტი ძირითადად სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ და ამ ქვეყნის ბიზნესმენები ბლომად ფულს შოულობდნენ ამგვარი საქმიანობით. ასეთი ბიზნესით ძირითადად მოქმედებდა ორი ფირმუკა: „ელიზი" და „ომეგა". იყვნენ ერთმანეთთან შეხმატკბილებული, ძმურად იყოფდნენ სარეალიზაციო ბაზარს, ასაქმებდნენ მრავალ ადამიანს და ცხოვრობდნენ თბილ-მეზობლურად, მაგრამ ამ მუხთალ წუთისოფელს ვისთვის შეურჩენია ბოლომდე ბედნიერება, რომ ისინი ყოფილიყვნენ გამონაკლისნი. შეუჩნდა ეშმაკი მთავარ ელიზას და გადაწყვიტა, როგორმე გაენადგურებინა მეზობელი ამიგო-ომეგა. დაიწყო სირბილი მაქსიმალისტების მთავრობაში, შემოიკრიბა გვერდით ლიდერი ამიგოები და მზაკვრული გეგმის განხორციელებას შეუდგა. ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ ამბად იყო მიღებული ურთიერთ ლანძღვა-გინება, დაბეზღება, სატელეფონო საუბრების მოსმენა, ციხეებში ჩამება, მთავრობის აუგად მოხსენიება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგტონად არ აღიქმებოდა, მაგრამ მაინც არავინ არაფერს ერიდებოდა და საკუთარი მიზნების მისაღწევად ყოველგვარ ინტრიგაზე მიდიოდა. ჰოდა, დაიწყო მთავარმა ელიზმა თაეის გარშემო გამოცდილი დივერსანტი ბიჭუკების შემოკრება, ამიგო-ომეგას სატელეფონო

საუბრების მოსმენა, თანამდებობის პირების მოსყიდვა და როცა მთლიანად გაჯირაღდნა ჯეოჯღოხეთი („ქრთამი ჯეოჯღოხეთს ანათებსო"), მიეყო ხელი მოწინააღმდეგის ძარცვა-გლეჯვას. ერთხელ არ ჩაუვარდა კოეზი ნაცარში, მეორედ არ ჩაუვარდა, მაგრამ აი მესამედ კი, მისი დივერსანტი ბიჭუკები ხაფანგში გაებნენ, დაფქვეს, მაგრამ რა დაფქვეს, ყვე-

4

დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს

პირველი გვერდიდან

შაელობაში მოხდა, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას: ბევრი სიმახინჯე დღემდე შემოგვრჩა.

ამ ბოლო დროს პრესითა თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით ხშირად ლანძღავენ ხელმძღვანელ მუშაკებს. სადღეისოდ მიზანში ამოიღეს ბატონი შოთა კვირაია. ვფიქრობ, ეს მხოლოდ სიმართლისათვის თავგადადებულ ჟურნალისტთა ნებით არ ხორციელდება. მათ უკან ალბათ დგას ძალა, ვისაც ხელს აძლევს ერის გათიშვა, უნდობლობის თესვა...

ამ და სხვა გარემოებათა გამო მოგმართავთ, ბატონო პრეზიდენტო. დღეს ეს ყველაფერი დამღუპველია საქართველოსათვის. დღეს ქვეყანას, როგორც თქვენ ბრძანებთ, ერთად დგომა, ერთ მუშტად შეკვრა გადაარჩენს.

თითქოს გუშინ იყო: რესპუბლიკა ქაოსმა მოიცვა. აღვირახსნილი კრიმინალური ბანდები თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ოჯახებს, ადამიანებს, საწარმო-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს. მათ დაუჯელ თარეშს მოსდევდა ადამიანთა მსხვერპლი, რესპუბლიკამ, ხალხმა უდიდესი სულიერი და მატერიალური ზარალი განიცადეს. ძალოვანი სტრუქტურები უძლურნი იყვნენ რაიმე დაეპირისპირებინათ უხეში, ბნელი ძალებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც ვალდებული იყო დაეცვა ხალხი ბანდიტთა მასირებული შეტევებისაგან, თავად გახდა დასაცავი, უმწეო და სხვისი ხელის შემყურე.

და მაშინ, იმ ძნელბედობის ჟამს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში მოვიდა თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი, ხალხისა და ხელისუფლების ერთგული ბატონი შოთა კვირაია. ეს იყო შემობრუნების მომენტი არა მარტო სამინისტროს, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. დიდი პრაქტიკული გამოცდილების, შინაგანი ერუდიციის, პროფესიული ნიჭის წყალობით შოთა კვირაიამ მოკლე დროში შეუძლებელი შეძლო: ფეხზე დადგა და პრაქტიკულად ხელახლა ჩამოყალიბდა პოლიცია, განმტკიცდა სტრუქტურები, ქვედანაყოფები შეივსო პროფესიული კადრებით. მასშტაბურმა, მიზნობრივმა ღონისძიებებმა, რომელთაც უშუალოდ მეთაურობდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ხელ-ფეხი შეუკრა ბანდიტებს, ალაგმა მათი თარეში, გაქრა დაუსჯელობის სინდრომი, დაიჩოქა კრიმინალურმა სამყარომ. ცხოერება კალაპოტში ჩადგა, ქუჩაში მშვიდად გამოვიდა ადამიანი, გაქრა მუდმივი ძრწოლა და შიში...

თითქოს გუშინ იყო: უშიშროების სამსახური, რომელსაც მაშინ გიორგაძე ედგა სათავეში და, რომელიც ვალდებული იყო დაეცვა ქვეყნისა და ხალხის, ხელისუფლების უშიშროება, თავად მოევლინა საშიშროებად ჩვენს სახელმწიფოს. მძვინვარებდა ტერორი, რომელმაც მრავალი გამოჩენილი ადამიანი იმსხვერპლა, საფრთხე შეუქმნა თვით პრეზიდენტის სიცოცხლესაც.

და მაშინ, ახალ პოლიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული და ახალფეხადგმული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ჟამს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დაინიშნა კაცი, რომელმაც თავისი საქმიანობით უკვე დაამტკიცა ხელმძღვანელობისა და მართვის უდიდესი უნარი და ხალხისა და ხელისუფლებისადმი ერთგულება და თავდადება. ეს ბატონი შოთა კვირაიაა. მისი გონივრული ხელმძღვანელობით უშიშროების სამინისტრო გადაიქცა იმ უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ ძალად, რომელმაც შეძლო და შეუძლია წინ აღუდგეს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობას, დაიცვას სახელმწიფო უშიშროება, მისი ერთიანობა და მთლიანობა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.

მაგრამ, როგორ ჩანს, საქართველოში მიღწეული სტაბილიზაცია, ცხოერების აღმავალი რიტმი, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზა ხელს არ აძლევს პოლიტიკურ და სახელმწიფო სარბიელზე ხელმოცარულ ადამიანებს, ყალბი პოპულარობის მოყვარულ პოლიტიკოსებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონ შოთა კვირაიას წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რასაც უდიდესი მონდომებით და ენთუზიაზმით ეწევიან, გამიზნულია ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახალი დესტაბილიზაციისა და ქაოსის შესაქმნელად. ეს არის გამიზნული პოლიტიკური, თამაში, - შეუალახონ ავტორიტეტი ბატონ შოთა კვირაიასა და მთელ სამინისტროს, შექმნან საზოგადოებრივი აზრი.

საზღვარგარეთის დრამატურგიაში, ერთ პერიოდში, იყო ასეთი მიმართულება: ჟამი გაუთავებელი მოლოდინისა. სპექტაკლის მთელი მსვლელობის მანძილზე ისმოდა სიტყვები: „ის მოდის, ის მალე მოვა“... და მთელი სპექტაკლი ისე მთავრდებოდა, რომ არავინ არ მოდიოდა... სპექტაკლი კი მაინც მთავრდებოდა...

ბატონო პრეზიდენტო, დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს!

ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ვალერი ასათიანი, კულტურის მინისტრი,
რევაზ ამაშუკელი, პოეტი,
კახი ასათიანი, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე,
ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი,
ნანი ბრეგვაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,
ნატალია ბურმისტროვა, სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე,
კოტე მახარაძე, საქართველოს სახალხო არტისტი,
სოფიკო ჭიაურელი, საქართველოს სახალხო არტისტი,
ნოდარ მგალობლიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი,
გურანდა გაბუნია, საქართველოს სახალხო არტისტი,
არჩილ სულაკაური, მწერალი, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
შოთა ნიშნიანიძე, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
გურამ ფანჯიკიძე, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
რამაზ ხუროძე, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
ნაპოლეონ ძარძაშაძე, აკადემიკოსი, აგრარული უნივერსიტეტის რექტორი,
რამაზ ჩხიკვაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ვახტანგ სართიანია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი,
ნ.ბრიბორიანი, დირექტორი (სომხური თეატრის კოლექტივის სახელით),
გ.ბაძსაძე, გენერალური დირექტორი (გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით),
გიორგი ძავთარაძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი,
მერაბ ფორდანია, პრეზიდენტი (თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა სახელით),
დავით ყიფიანი, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი,
ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
ირაკლი ჭუმბურიძე, კარდიოლოგი, აკადემიკოსი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ 21 ივნისი, №142

კოლექტივო, მხარი მხარს, აბა ჰე, აბა ჰე!..

ნოდარ გრიგალაშვილი

პირველი გვერდიდან

ამთლიანებს საზოგადოებას და კონკრეტული მინისტრის კონკრეტულ უკანონობაზე მითითება თიშავს საზოგადოებას?

მე მივმართავ იმ მწერლებს, რომლებიც პრეზიდენტისადმი მიმართვას აწერენ ხელს. ძვირფასო უფროსო კოლეგებო, თქვენ ბრძანდებით საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები. ამ პრეზიდიუმის წევრი გახლავართ მეც.

თქვენ არათუ დაიცავით თქვენი წევრი, რაც პრეზიდიუმის პირდაპირი მოვალეობა იყო, არათუ აღშფოთდით იმ უმსგავსობის გამო, რაც რედაქტორისა და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრის უკანონო მოსმენაში გამოიხატა, არამედ, პირიქით, ძიების დამთავრებამდე მხარს უჭერთ უშიშროების მინისტრს.

გაგრძელება მე-3 გვ.

გრიგალაშვილი-კვირაიას „დუელს“ ეხმიანება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

ბოლო ხანს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უშიშროების სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელის შ.კვირაიას მისამართით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გაავრცელა განცხადება. მასში განმარტებულია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მეოცე მუხლის მოთხოვნა – ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო თუ სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული ტექნიკური შეტყობინებები ხელშეუხებელია – დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა და ამავე დროს ის ზღუდე ან ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა მოქმედებდეს ხელისუფლება“. აქვე ნათქვამია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქეთა პირადი სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოთქმული მოსაზრებები თუ კონკრეტული ფაქტები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროკურატურის მსჯელობისა და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სათანადო რეაგირების საგანი უნდა გახდეს.

„პრესაში მოყვანილი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტმა საგანგებოდ უნდა იმსჯელოს მათზე და დასვას საკითხი კონკრეტულ თანამდებობის პირთა შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ“ – ნათქვამია განცხადებაში. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივო, მხარი მხარს, აბა ჰე, აბა ჰე!..

ნოდარ გრიგალაშვილი

მეორე გვერდიდან

ამით აპრიორულად აცხადებთ, რომ თვით ფაქტი „მოსმენებისა“ არ გაინტერესებთ, თქვენთვის მთავარია არავინ შეეხოს თქვენს მეგობარ მინისტრს, თუნდაც მას პარლამენტარები მკვლელობაში სდებდნენ ბრალს...

ეს არ არის კარგი...

ბატონი შოთა კვირაია იმ გუნდის წევრია, რომელსაც ბატონი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობს. მე კი თქვენი გუნდის, ანუ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ვარ.

ბატონი პრეზიდენტი არ გაუფრთხილდა მუნდირის ღირსებას და ორშაბათის რადიოინტერვიუში სასტიკ განაჩენს შეჰპირდა თავისივე გუნდის წევრს, თუკი ფაქტი დადასტურდება. არც თქვენ გაუფრთხილდით მუნდირის ღირსებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და საჯაროდ დაუჭირეთ სუკის შეფს მხარი მწერლის წინააღმდეგ...

მე და ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია რომ დესტაბილიზაციის მომხრენი, ანუ ხალხის მტრები ვართ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. იმედია ბატონი ედუარდ შევარდნაძე მაინც არ მოგეჩვენებათ ასეთად, ვინაიდან ორშაბათის რადიოინტერვიუს მიხედვით თქვენი აჯა არ ისმინა და მეგობრებს ჭეშმარიტება ამჯობინა.

თქვენს წერილში არ დაგვიწყნიათ სუკის ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის ავკაცობაზეც გაგემახვილებინათ მკითხველის ყურადღება, რაც უნდა შეფასდეს ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევად.

მე მახსოვს, როგორ ადიდებდით იგივე გიორგაძეს, როცა ის თანამდებობაზე იჯდა, მე, „ქვეყნის დესტაბილიზაციის მოსურნე“, მწარედ ვაკრიტიკებდი სწორედ იმ გიორგაძეს, მაშინ, როცა ის სუკის შეფი იყო.

ბუნებრივია, მაშინ არავინ იცოდა, რომ იგი ტერაქტის ორგანიზატორი გახდებოდა, მაგრამ მეც და თქვენც კარგად ვუწყოდით, საიდან მოახვიეს მისი კანდიდატურა საქართველოს, მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, თქვენ მოგწონდათ ის კაცი, მე არა. დასკვნა მკითხველისათვის მიმინდვია...

სხვათაშორის, ერთ ფაქტზეც მინდა თქვენი, როგორც მწერლების, ყურადღების მიქცევა.

ქართველი მწერლისთვის იმაზე აღმაშფოთებელი არაფერი უნდა იყოს, ვიდრე საქართველოს კუთხეებად დაყოფა და ამა თუ იმ კუთხის შვილობით სპეკულაციაა.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ თქვენს წერილს ახლავს ჯემალ ჩახავას ლექსი: „ბატონ შოთა კვირაიას“. ეს ლექსი პოეტმა პირველად გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში მოიტანა. მე არ დავუბეჭდე და ვთხოვე ამ სახით არსად დაესტამბა იგი. ლექსში იყო ერთი სტრიქონი, რომელმაც აღმაშფოთა. მიუხედავად შეპირებისა, აღნიშნული ლექსი „დილის გაზეთში“ სწორედ იმ სახით დასტამბა, როგორც მე წარმომიდგინა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ აღნიშნული ლექსია დასტამბული, მაგრამ იგი არ არის „დილის გაზეთიდან“ გადაბეჭდილი, როგორც ჩანს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ მას იგივე პოზიციიდან მიუდგნენ, როგორიც მე მქონდა ავტორთან საუბრისას და სტრიქონი შეაცვლევინეს. პოეტი მიმართავს უშიშროების მინისტრს.

აი, ეს სტროფიც:

„წამოგეწია
შარაგზაზე,
ძმაო, ცუდი ხმა...
დაჭრილ გულისთვის
იქნებ მავანს
აღარ უნდიხარ“.

„საქართველოს რესპუბლიკა“ 21 ივნისი, №142

„წამოგეწია
შარაგზაზე,
ძმაო, ცუდი ხმა...
შენი გვარისთვის
იქნებ მავანს
აღარ უნდიხარ?..“

„დილის გაზეთი“ 18 ივნისი, №117

აი, ბატონო მწერლებო, რა იწვევს ქვეყნის გათიშვას. რას მიანიშნებს ეს სტრიქონი- „შენი გვარისთვის იქნებ მავანს აღარ უნდიხარ“-ო? კვირაიას გვარი იმდენად ქართულია, იმდენად ევფონიური, ძირძველი და შინაარსობრივად იქნებ წარმართული ღვთაებიდანაც იღებს სათავეს, რომ მართლა კუთხის კუთხეზე წაკიდება უნდა სურდეს კაცს, ამნაირი უზნეო მეთოდით რომ დაიცვას ადამიანი.

მეგრულ წარმომავლობაზე ამ სახით მითითება ისეთი უზნეო კოზირია, რომლის გამო უნდა ტეხდეს ქართველი მწერალი განგაშს.

ხდება კი პირიქით.

„საწუხ არს ესე“...

ედუარდ შევარდნაძე:

არ არსებობს იმაზე უფრო ამაზრზენი მოვლენა, ვიდრე სატელეფონო საუბრების მოსმენაა

გუშინდელ რადიოინტერვიუში ქვეყნის პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებად მთავრობის სხდომა და თბილისელთა მუშაობის შედეგების შეჯამება დაასახელა. როგორც მან აღნიშნა, საბიუჯეტო შემოსავლების 60% დედაქალაქზე მოდის. პრეზიდენტმა შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და განაცხადა, რომ ბაზრობებიდან, ბენზინგასამართი სადგურებიდან და სხვა ობიექტებიდან სახელმწიფო არ იღებს იმ შემოსავლებს, რასაც უნდა იღებდეს. მისი თქმით, თუ დედაქალაქის წილი საბიუჯეტო შემოსავლებში არ გაიზრდება, საჭირო გახდება სხვა გადაწყვეტილებების მიღება.

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ ერთ-ერთი პრობლემა რეფორმების ახალი ეტაპის განხორციელებაა. პრივატიზაციის პროცესს ახალ სტიმულს მისცემს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ასევე თაებიდან აგვაცილებს საწარმოთა გაკოტრებას. ე.შევარდნაძის თქმით, სპეციალური ფულად აუქციონზე გაიყიდება 275 საწარმო. პრეზიდენტი თვლის, რომ საჭიროა ეს პროცესი საჯაროდ განხორციელდეს.

რეფორმების მეორე ეტაპზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მიწის პრივატიზაციის საკითხს. კერძოდ, მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სამუშაოთა მნიშვნელობას.

მთავრობის სხდომაზე განიხილებოდა რამდენიმე პროექტი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქსა და რეგიონებში საბითუმო ბაზრის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტს. პრეზიდენტის თქმით, გაერო-ს განვითარების პროგრამას, რომელიც ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის პროექტს ეხება, ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. როგორც ე.შევარდნაძემ აღნიშნა, მსგავს დახმარებებს საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავაც გამოყოფენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში პრობლემები მშვიდობიანი გზით მოგვარდება.

შეეხო რა საბიუჯეტო შემოსავლებს, ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ 1-დან 20 ივნისამდე სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო სამსახურებიდან მობილიზებულია 19 მლნ ლარი. საბაჟო სამსახურებიდან – 8.5 მლნ ლარი. მისი თქმით, საგადასახადო სამსახურების შემოსავლების მობილიზაციის ტემპი არასაკმარისია. ბიუჯეტის ნახევარი წლის შემოსავლების უზრუნველსაყოფად პრეზიდენტმა სახკანცელარიისაგან საგანგებო ზომების მიღება მოითხოვა.

მოსკოვში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ე.შევარდნაძემ შეაფასა როგორც ორი მხარის ცდა – გონივრულ კომპრომისს მიაღწიონ. მისი თქმით, მიღებულია გარკვეული დებულებები, მაგრამ გიგანტური სამუშაოები ჯერ კიდევ წინაა. მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დინამიურად ვითარდება. რუსეთის დიპლომატიის აქტივობა საგრძნობია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პრეზიდენტს არ გაჰკვირვებია, რომ რუსეთის სახსათათბირომ რატიფიცირება არ გაუკეთა რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებას და აღნიშნა, რომ რუსეთის გარკვეულ წრეებში ძველისძველი აზროვნება დარჩა.

დენვერში, მსოფლიოს 8 წამყვანი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრაზე, ბელგიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა გაერო-ს როლის გაძლიერების კონფლიქტების მოგვარების საქმეში. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე კლინტონის, შირაკისა და ელცინის განცხადება ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, კავკასია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც მნიშვნელოვანია კავკასიის ყველა ხალხებისათვის.

„არ არსებობს იმაზე უფრო ამაზრზენი მოვლენა, ვიდრე სატელეფონო საუბრების მოსმენაა. ეს არის ანტიმორალური და ანტიზნეობრივი მოვლენა. უშიშროების სისტემა – ურთულესი სისტემაა უმძიმესი მემკვიდრეობით, რაც აუცილებელ გარდაქმნას საჭიროებს. ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევაში უშიშროების მინისტრის ღვაწლის დაუფასებლობა უმადურობა იქნება. შკვირაიამ შესძლო ამ ორგანოს რესტრუქტურიზაციაში პირველი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ თანამედროვე დონეზე მომუშავე სამინისტროს შექმნა ჯერ ვერ შეუძლებელია. ძველი სისტემით მუშაობა კი შეუძლებელია“ – განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, გენერალურმა პროკურორმა უნდა ჩაატაროს გამოძიება და თუ დადასტურდა არასანქციონირებულ მოსმენათა ფაქტები, პრეზიდენტის გადაწყვეტილება სასტიკი იქნება. (იფრინდა)

შევარდნაძე დასჯით დაემუქრა მათ, ვინც უკანონოდ ისმენს ჟურნალისტების სატელეფონო საუბრებს

სატელეფონო საუბრების მოსმენა უზნეო საქციელია და თუ ეს ფაქტი დამტკიცდა, უნდა დაისაჯოს ის პირი, ვინც ასეთი განკარგულება გასცა“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში. საუბარია უშიშროების სამინისტროს მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ისმენენ გაზეთების მთავარი რედაქტორების სატელეფონო საუბრებს.

შევარდნაძის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ გასცა ბრძანება სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ – „უშიშროების სამინისტროს რომელიმე განყოფილების უფროსმა, თუ თავად მინისტრმა“ – გენერალურმა პროკურორმა პირადად უნდა გამოიძიოს ეს ფაქტი.

გასულ კვირაში გაზეთ „საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა ნოდარ გრიგალაშვილმა დროებითი საპარლამენტო კომისიის მოსმენებზე მოწმის რანგში გამოსვლისას დაადასტურა, რომ უშიშროების სამინისტროს საფირმო ბლანკზე წარმოდგენილი გაშიფრული მასალა მისი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებია. „როგორც ჩანს, შპიონობის სისტემა ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა უშიშროების სამინისტროში“ – აღნიშნა პრეზიდენტმა და განაცხადა, რომ „დადგა დრო – საქართველოში შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უშიშროების სამინისტროს ტოტალიტარიზმის მარწუხებიდან გამოიყვანს“.

შოთა კვირაიას საქმეს პარლამენტი მიმდინარე კვირაში განიხილავს

გუშინ საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას საკითხი, რომელსაც გაზეთების რედაქტორების სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენაში ედება ბრალი, პარლამენტის დახურულ სხდომაზე განიხილება მიმდინარე კვირის ხუთშაბათს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ პარლამენტის გუშინდელ ბიუროზე ამ საკითხის პარლამენტის სხდომაზე განხილვა მოითხოვა. სახალხო ფრაქციის თავმჯდომარემ მამუკა გიორგაძემ განაცხადა, რომ განხილეის საგანი კონკრეტული პიროვნებები კი არ უნდა გახდნენ, არამედ სისტემა, რომელიც მათ დანაშაულებრიეი ქმედებების საშუალებას აძლევს.

გუშინვე საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გაეცალა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პრესაში მოყვანილი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტმა საგანგებოდ უნდა იმსჯელოს მათზე და დასვას საკითხი კონკრეტულ თანამდებობის პირთა შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეთა პირადი სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას მძიმე დანაშაულის საქმეზე მტკიცებულების მოპოვების მიზნით, რომლის შესახებაც სასამართლოს უნდა ეცნობოს 24 საათის განმავლობაში – ხაზგასმულია განცხადებაში. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტის მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივას

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე 22 ივნისს, საღამოს, დაბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც მშვიდობიანი კავკასიის თემაზე საინტერესო შეხვედრები ჰქონდა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან.

ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტმა ვალერი კოკოვმა, რომელიც ამავდროულად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეცაა, მთლიანად დაუჭირა მხარი საქართველოს პრეზიდენტის მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივას და ამ საკითხებზე ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. (მოამბე-ექს-პრესი).

ფოთის ნავსადგურში შემოსულია ტვირთი

ფოთის ნავსადგურში დგას თურქეთის გემი „ტელი-1“, რომელმაც საქართველოსთვის 500 ტონა ნავთობი შემოიტანა. საბერძნეთის გემმა „კრიტი-გერანმა“ 10 ათასი ტონა ნავთობი, ხოლო რუსეთის გემმა „კაპიტანმა ნაპიტუხინმა“ სუფსის ტერმინალისათვის ნავთობგადასამუშავებელი მოწყობილობა ჩამოიტანა.

რეიდზე დგას სპირტით, ხორბლით, ნავთობითა და ფქვილით დატვირთული გემები, ტვირთი განკუთვნილია როგორც საქართველოსთვის, ასევე სომხეთისათვის. (მოამბე-ექს-პრესი)

ავერბაიჯანიდან შემოსულია კალიები

აზერბაიჯანიდან შემოსულმა კალიებმა, რომლებმაც უკვე გაანადგურეს საგარეჯოსა და გურჯაანის საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავალი, სიღნაღში გადაინაცვლეს. სიღნაღის რაიონის გამგებლის, ვაჟა ცაბუტაშვილის თქმით, „თუ მათ მიმართ დროზე არ მოხდა მომწამლავი ნივთიერებების გამოყენება, ზარალი აუნაზღაურებელი იქნება“. (მოამბე-ექს-პრესი)

ღვინის ქარხნებისათვის განაწილებული კრედიტი ძნელად იფარება

კრედიტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენმა გამოყო ყურძნის შესაძენად და ღვინის ქარხნებს გაუნაწილა, ძნელად იფარება, ვადები კი ივლისის ბოლოს იწურება. როგორც საქციო-საზოგადოება „ქიზიყის“ ხელმძღვანელმა ოთარ ბეჟანიშვილმა „მოამბე-ექს-პრესის“ კორესპონდენტს განუცხადა, უკვე დაფარული აქვთ 106000 ლარი. მოლდაველთთან, უკრაინასთან და რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე კი, სადაც გააქვთ ღვინო „ტარიბანა“ და საკონიაკე სპირტი, იძლევა იმის გარანტს, რომ დროულად მოხდება კრედიტის დაფარვა. (მოამბე-ექს-პრესი)

მეთევზეებმა ახალგაზრდა გოგონას გვამი აღმოაჩინეს

22 ივნისს, დილით, ქალაქ ოზურგეთის მახლობლად მდინარე ბჟუჟის სანაპიროზე მეთევზეებმა ახალგაზრდა გოგონას გვამი აღმოაჩინეს. როგორც ოზურგეთის პოლიციიდან გვაცნობეს, გარდაცვლილი ოზურგეთის მცხოვრები ვინმე ჭანტურიშვილი აღმოჩნდა. გამოძიება მიმდინარეობს. (მოამბე-ექს-პრესი)

● დღიურები

რევაზ მიშველაძე

ხუთი მრისხანე წელი

ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

29/IX — 5/X, 93 წ.

3 ოქტომბერს ჩემი აჩიკო დაიღუპა.

გადაურჩა ჩეჩენის, აფსუას, რუსის ტყვიას და ხონში ჩეჩენ-აფსუას დაგებულმა ნაღმმა იმსხვერპლა.

ჩემზე უბედური კაცი აღარ არის ამ დუნიაზე.

ერთადერთი შვილი, ერთადერთი იმედი.

ჩემი აჩიკო...

იქნებ შენმა სიკვდილმა წამით მაინც ჩააფიქროს, შვილო, ის, ვინც ძმათა შორის სიკვდილს თესავს.

ვის ჰქონდა უფლება ჩემთვის ერთადერთი შვილი წაერთმია.

ქუთაისში გავფრინდით მე და ნათელა აჩიკოს ჩამოსასვენებლად.

თბილისიდან ოთარ ფაცაცია და ირაკლი მენაღარიშვილი გაგვყვნენ.

თვალებში ვატყობდი ორივეს, რომ აჩიკო აღარ იყო ცოცხალი. დაჭრილიაო, ეუბნებოდნენ ჩემს ცოლს.

თურმე ხონში ჩეჩენთა ტანკი შესულა. ჩეჩნებს მიუტოვებიათ ტანკი და იქვე სახლში მიმალულან. აჩიკო და მისი თანამებრძოლები ყიჟინით მივარდნიან ტანკს. ეს იყო ჩეჩნური მახე. პირველი აჩიკო შემხტარა. უსვრიათ და იქვე გადაწოლილა ტანკზე.

9/X, შაბათი, 93 წ.

ღამის პირველი საათია.

სასტუმრო ოთახში ჩემი შვილი ყინულის საწოლში წევს.

ღამის ერთი კვირაა მდუღარე ცრემლებით, მოთქმით დაეტირით.

დღეს კუბოში ჩაასვენებენ და 2 საათზე პროცესია სასაფლაოს გზას გაუყვება.

მე ვერ გიყურებ კუბოში, შვილო!

გაზეთები აჭრელებულია შენი სურათებით.

თურმე, მართლა გმირი ყოფილხარ!

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-61.

„სიკვდილო, შვილი ნეტავ შენამც მოგცა...“

10/X — 30/X

ნუთუ ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის.

ნუთუ, წელში ვერასოდეს გავიმართები.

სახლიდან გამოსვლა არ მინდა.

არა მგონია, ოდესმე კალამს მოვკიდო ხელი და ნოველები ვწერო.

ყველაფერმა აზრი დაკარგა.

ეს რა დედალგულა ეყოფილვარ.

დღე და ღამ ეტირი.

მინდა, რაც შეიძლება ჩქარა გავიდეს დრო, ჩქარა დავბერდე და მოვკვდე.

აჩიკოს სიკვდილს, ალბათ, ვერ გადავიტან.

რაც დრო გადის, უარეს დღეში ვარ.

სვეტა რომ არ მეცოდებოდეს, თავს მოვიკლავდი.

არ მინდა მარტო დავტოვო ჩემი უბედური, ბებერი ცოლი.

მოგიკვდა ჩემი თავი, შვილო!

1/XI — 23/XI

მწუხარე, თალხისფერი დღეები.

ჩემი სახლი, ჩემი მთავარი საზრუნავი აჩიკოს სასაფლაოა.

თვალს ვარიდებ კედელზე მის ღამაზ სურათს.

სად გაექცევი ხსოვნას, ნივთებს... აჩიკოს დახეულ ფეხსაცმელებს, მის პერანგ-შარვლებს.

საითაც გავიხედავ, ყველაფერი აჩიკოსთან მაკავშირებს: სახლი, გარაჟი, სტადიონი, კუსტბა...

ჩემი თავი მხოლოდ აჩიკოს გვერდით მახსოვს.

ყველაფერს მისი ხელი ატყვია, მისი ურჩი და ძლიერი ნება მმართავს ახლაც მე, დასუსტებულს და სასომიხდილს.

გაზეთები ყოველდღე ახსენებენ აჩიკოს სახელს.

ამით უფრო მემატება ცრემლი და ურვა.

რა უნდოდა შენთან სიკვდილს - ჩემ მიმინოსაეით შემართულო, ფრთალაღო ბიჭო.

დიდებული ლექსები დაწერეს ჩემს დაღუპულ შვილზე შოთა ნიშნიანიძემ და ემზარ კვიტაიშვილმა.

საქართველოში კვლავ უბედურება ტრიალებს.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევ მტრის ხელშია.

რუსეთმა დაგვიმონა, დაგვაქცია და გაგვთელა.

გუშინ მე და ვაჟა აბაკელიამ მანქანა გავუჩერეთ მათხოვარ დედაბერს. გავესაუბრეთ, ნიკო კეცხოველის და აღმოჩნდა.

ვაჩუქეთ ცოტა ფული.

24/XI — 15/XII, 93 წ.

იწურება ეს საზიზღარი წელი.

ყველაზე უბედური წელი საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს უბედურება ჩემზეც განაწილდა, რომ უფრო მეგრძნო საშინელება, რაც რუსეთმა თავს დაგვატეხა.

საშინელი შიშშილი და განუკითხაობა ტრიალებს ირგვლივ.

ყაჩაღობა, მკვლელობა...

სამასი ათასი ლტოლვილი, აფხაზეთიდან რუსის ჯარის მიერ თხებივით გამორეკილი ქართველები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან. მოთქვამენ... გამკითხავი არავინ არის.

მსოფლიო გაუყუჩდა ამ საუკუნის ტრაგედიას. რა დავაშავეთ?

გავედი სახლიდან. ლექციებს ეკითხულობ.

ჟურნალზეც ვზრუნავ.

მწერალთა კავშირშიც დავდიივარ. სიტყვაც ვთქვი პავლე ინგოროყვას იუბილეზე, მაგრამ ამას ყველაფერს რობოტივით, მექანიკურად ვაკეთებ.

გული მაქვს ამოცლილი.

დილით რომ გავიღვიძებ, მინდა ყველაფერი სიზმარი იყოს.

მივაყურადებ, იქნებ დაბრუნდა, იქნებ ჩემი ცისფერთვალება ბიჭის ჩახველება გავიგონო.

სვეტა წავა-წამოვა ოთახში და ისევ აჩიკოზე იწყებს ლაპარაკს.

სულ აჩიკოს ხსენებაშია.

ადრე მაშინებდა აჩიკოს ტანსაცმელი, ახლა პირიქით, მინდა მისი ჩანაცვამი ჩავიცვა. ასე მგონია, ასე უფრო ახლოს მყავს გულთან.

ლამაზი სასახლე-სასაფლაო გავუკეთე ჩემს ანგელოზს.

ჩემი სასაფლაოც ეს არი.

მოვიდა აჩიკოს შეყვარებული გოგო - ნატო.

ხუთი საათი გაუჩერებლად ტიროდა.

შენც დამნაშავე ხარ, შვილო, შენც... შენ მაინც რატომ ვერ გააჩერე-მეთქი.

ყველას გაეპარა.

„სიბერეს და მომავალ ცოლ-შვილს“ გაეპარა, როგორც შოთა ნიშნიანიძემ დაწერა.

მკვდარი, ალბათ, ყველა საყვარელია, მაგრამ ვინც მხვდება, სასწაულებს ამბობს მის სიკეთეზე, ეაუკაცობაზე, მიმნდობ ხასიათზე, სიალალე-გულუბრყვილობაზე.

თურმე, მეც არ გიცნობდი კარგად, შვილო.

რომ იცოდეს მშობელმა, რა საშინელებაა შვილის სიკვდილი, ფრჩხილებით დაკაწრავდა - მოსპობდა ყველა იარაღს დედამიწაზე.

გურჯაანში ვიყავი ნათესავებთან. ცრემლები მაღრჩობდა, იმ ადგილებში რომ გავიარე, სადაც შარშან მე და აჩიკო ვნადირობდით.

გაგრძელება ხუთშაბათის ნომერში

„სიგარეტის ქვეყანა“

პირველი გვერდიდან

ლაფერი, პირდაპირ ბულბულებივით გალობდნენ და პოლიციმეისტერები კი შაეთ თეთრზე აწიკწიკებდნენ ყველაფერს. იმდენი აწიკწიკეს, რომ ბოლო-ბოლო მთავარი ელიზიც გაბაწრეს. ის დღე იყო და ის დღე. ატყდა წრიალი, ლიდერი ამიგოების სირბილი სხვადასხვა ინსტანციებში.

დამცველად აიყვანეს ნაპრეზიდენტრის ნაკანდიტარი „ჩიბუხა ვექილი“ და ატყდა ერთი ალიაქოთი. ჩიბუხამ, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, განსაკუთრებით გაიხარა ამ საქმით და დაიწყო პრესკონფერენციებისა და ტელედებატების მოწყობა-დემონსტრაცია, საკუთარი იმიჯის განსამტკიცებლად დიდი დაგეროიდების ცილისწამებსაც კი არ მოერიდა. ამ ქვეყანაში პრესა, სიძვირის გამო, ცოტაოდენი იყიდებოდა და „ღარიბი“ და „რჩეული“ ადვოკატების სიტყვაუხვობის გამოისობით საგრძნობლად გაიზარდა მათი ტირაჟი (ანდაზამ „ზოგი ჭირი მარგებელია“ დაადასტურა საკუთარი მართებულობა).

მოკლედ, ბევრი იომეს, თუ ცოტა იომეს ადვოკატებმა, ბოლოს მაინც უფრო ახალგაზრდა „ჩიბუხა ვექილმა“ დაამარცხა თავისი უფრო გამოცდილი, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლით გადაღლილი მეტოქე და დაანარცხა ბეჭებზე, დასცხეს გამარჯვების ყიჟინა ლიდერ-ბიჭუკებმა და მაქსიმალისტ-ობივატელებმა. ახსნეს ჯაჭვები ამირანიეთ დაბმულ მთავარ ელიზას. საწყალი ამიგო-ომეგა დარჩა პირში ჩალაგამოვლებული. უქმად ჩაიარა მისმა ხახინაში შეტანილმა მილიონებმა, რომლებსაც დიდი დაგეროიდები, სხვა და სხვა ქვეყნისათვის საჭირო საქმეებისთვის ანაწილებდნენ. ბატონი „ჩიბუხა ვექილი“ კი, სიხარულითა და სიამაყით „მალბოროსავით“ აწითლებული, უხვად არიგებდა ინტერვიუებსა და ავტოგრაფებს. რას იზამ, ასეა ამ ქვეყანაში გადაკეთებულ-შესწორებულ-გადაეროვნებული საქვეყნოდ აღიარებული კანონები. დადიან ქუჩებში პირში „მალბოროკენტქემელელემ“ გამორილი მაქსიმალისტები და ერთი წუთით არ ფიქრობენ, რომ მათი ჯამაგირები, პენსიები, სტიპენდიები ერთი საწყალი ამიგო-ომეგას ჯიბიდანაა გაცემული და ერთ დღესაც თუ აიძულეს რომელიმე ასეთი ამიგო, შეაწყვეტინეს მუშაობა და გააქციეს ამ ლამაზი, საოცარი ქვეყნიდან, ვეღარ მიიღებენ თუთუნის საყიდელ ფულს.

ყოველი ზღაპარი ოპტიმისტურ ნოტაზე მთავრდება და ასე უნდა დამთავრდეს ამ უცნაური ქვეყნის ზღაპარიც. მითუმეტეს, მმართველი პარტია „მაქსიმალისტთა კავშირი“, დაუნდობელ ომს უცხადებს გადაკეთებულ-გადაგვარებულ-გადაძნაირებულ კანონების დამრღვევებს და ალბათ, მალე ეშველებათ იმ მრავალ ამიგო-ბიზნესმენებს, რომლებიც მართლაც არიან დაინტერესებული ამ ლამაზი ქვეყნის კეთილდღეობით და ლამაზი მაქსიმალისტების ბედნიერებით.

ჭირი იქა, ლხინი აქა, „ასტრა“ იქა, „მალბორო“ აქა.

შალვა გორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის პოზიცია

საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენისათვის, მოსახლეობის გამოყვანისათვის სიღატაკის მდგომარეობიდან და საქართველოს ტერიტორიის აღდგენისათვის აუცილებელია დემოკრატია. დემოკრატია ძალაა და არა სისუსტე. დემოკრატიას სჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობა, პირველ ყოველისა – ქალაქების მერთა და რაიონის გამგებელთა არჩევითობა. კანონ-პროექტი „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“, რომელსაც ხვალ პარლამენტი იხილავს პირველი წაკითხვით, ქართველი ხალხის ამ ძირეულ ინტერესს ლახავს. დანიშნული მერებისა და რაიონთა გამგებლების შემოღებით იგი საქართველოს შუა საუკუნეებში აბრუნებს. ამ ბარბაროსულ დიქტატორულ იდეას ორი მიზანი აქვს:

– შექმნას მოხერხებული მექანიზმი პროვინციიდან სახსრების ამოტუმბვისათვის ბიუჯეტის გვერდის ავლით.

– შექმნას მოხერხებული მექანიზმი მოსახლეობაზე ზეწოლისა და ფალსიფიკაციისათვის მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში.

ვიწყებთ ფართო კომპანიას საქართველოს მასშტაბით ქალაქის მერთა და რაიონის გამგებელთა არჩევითობისათვის.

სგრპ-ს ეროვნული კომიტეტი

ჰედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია განათლების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგია

გუშინ შედგა ჰედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის პრესკონფერენცია, რომელზედაც ისაუბრეს სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა დავით მესხორიძემ, ასოციაციის იურისტმა დავით წიქარიშვილმა და პრეს-ცენტრის წევრმა ლალი ხუნწარიამ.

მათ ჟურნალისტებს გააცნეს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ „აწ. 24 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა-“ში გამოქვეყნებული პროექტი, რომელიც შეეხება განათლების კანონს, არის მცდელობა საქართველოს ძალით მოახვიოს ისეთი განათლების კანონი, რომელიც უცხოა ქართული კულტურულ-საგანათლებლო და ეროვნული ტრადიციებისათვის. გარდა ამისა, შემოთავაზებული კანონი უგულებელყოფს საერთაშორისო პაქტს „ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“. იგი ფარისევლურად საღდება „პროგრამულ“ ნაბიჯად. პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია წინააღმდეგობას გაუწევს ანტიეროვნული განათლების კანონის ძალით დამკვიდრებას საქართველოში და მიმართავს საპროტესტო აქციებს“.

კანონპროექტი შედგენილია განათლების სამინისტროს მიერ, მაგრამ არ არის მოხსენიებული იმ პირთა გვარები, რომლებმაც იმუშავეს აღნიშნულ პროექტზე. ამდენად, უცნობია ის ფაქტი, თუ რამდენად კომპეტენტურნი არიან ისინი ამ საქმეში, იციან თუ არა ბავშვისა და სკოლის პრობლემები. „იურისტებს არა აქვთ ნამუშევარი კანონპროექტზე, ყოველ შემთხვევაში ეს არ შეიმჩნევა“ – განაცხადა დავით წიქარიშვილმა.

ჰედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია თვლის, რომ მიუღებელია ორი კანონის – განათლების კანონისა და უმაღლესი განათლების კანონის არსებობა. ეს არის განათლების „უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის“ პრინციპის დარღვევა. განათლების სისტემა საქართველოში ერთგვაროვანი და მონოლითური უნდა იყოს.

ხათუნა აბაზაძე

„მოქალაქეთა კავშირში მარტო უზრდელი ბიჭები არ არიან“

გუშინ გაიმართა საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარი – საქართველოს რეგიონების“ ლიდერის ვრჩეულიშვილის პრეს-კონფერენცია. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ განაცხადა, თბილისი სრული დაღუპვის საშიშროების წინაშე დგას. ქალაქის სახლების 80% დასანგრევი და ხელახლა ასაშენებელია. მშენებარე მეტროს ერთ-ერთი უბანი ჩაიშალა, რითაც საფრთხე შეუქმნა უბნის ირგვლივ განლაგებულ სახლებს. ვრჩეულიშვილის თქმით, თბილისი წელიწადში რამოდენიმე მილიმეტრით ინგრევა და საძირკველი მდმტკვრისაკენ იწევს. ჩაკეტილია სანიაღვრეები, რის გამოც ინგრევა ფუნდამენტები. განწირულია თბილისის უბნები: მთაწმინდა, სოლოლაკი, ჩუღურეთი და სხვ. ინგრევა სახლები. ახალ შენობა-ნაგებობებსაც გაუვიდათ ვადა. მისი პროგნოზით, გარეუბნები უმართავი იქნება და პოლიციასაც კი შეეშინდება იქ შესვლა, განვითარდება ნარკომანია და პროსტიტუცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, სექტემბრის თვეში დაგეგმილია თბილისის ეკონომიკური ფორუმის ჩატარება.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, ვრჩეულიშვილმა განაცხადა, რომ მოქალაქეთა კავშირში მარტო უზრდელი ბიჭები არ არიან, არიან ჯანსაღი ძალებიც, რომლებთანაც ფრაქცია ითანამშრომლებს და მხარსაც დაუჭერს. (იფრინდა)

თქვენი ხელნაწერია... გაგყიდით!

გრაფოლოგია საკმაოდ საინტერესო მეცნიერებაა. მის დამფუძნებლად ითვლება აბატი მიშონი (1806-1881). იგი არ ჰგავს მკითხაობას ყავაზე, კარტზე, სადაც ადამიანის პიროვნული მონაცემები შემთხვევითი ხდომილებების მიხედვით იშიფრება. გრაფოლოგია ისეთი ფენომენია, სადაც ადამიანი, ხატოვნად რომ ვთქვათ, თვითონ წერს თავის ხასიათს და ამდენად, არა გვაქვს საქმე არანაირ შემთხვევით და სუბიექტურ მოვლენებთან. საყურადღებოა, რომ გრაფოლოგიის მონაცემებს კრიმინალისტიკაშიც იყენებენ. ცხადია, კომენტარი ზედმეტია. ადამიანი საკუთარი თავის შეცნობის საქმეში საკმაოდ სუსტია. გრაფოლოგები კი გვთავაზობენ: „შეიცან თავი შენი...“ არ არსებობს ორი, თუნდაც მსგავსი ხელწერა, მაშინ, როდესაც შესაძლებელია მსგავსი ადამიანების არსებობა. ყველაზე ზუსტ მეცნიერებებსაც (თუნდაც მათემატიკას) ზოგიერთ შემთხვევებში არ ძალუძს ზუსტი პაუხის გაცემა. მაშ, ნუ მიიღებთ ჩვენს ნაცოდვილარს apriori ჭეშმარიტად, ისიც შეიძლება შეცდეს რალაცაში. ჩვენი გმირების მეგობრული შარჟები უწოდეთ იმას, რასაც ქვემოთ იხილავთ და ნუ მოძებნით მასში ცუდსა და უკადრისს...

ჯაბა იოსელიანი

იმ სტრიქონების ავტორი, რომლის ფაქსიმილესაც თქვენ ხედავთ, საკმაოდ ჯიუტი კაცია, მაგრამ გულუხვია და მფლანგველი. არც ის გაუკვირდება ვინმეს, რომ ამ კაცს პატივმოყვარეობა ცხოვრების განმსაზღვრელ პრინციპად გაუხდია. მაგრამ ცარიელი პატივმოყვარეობა რას მიქვია, თუ მას გვერდში არ ამოუდგნენ სითამამე და ნებისყოფა. მისი ტალღისებურად მიმავალი სტრიქონები ეშმაკობის მანიშნებელია. გარდა ამისა, ისიც შეიძლება ითქვას, რომ დაკვირვების საკმაო (თუ ძალიან დიდი-არა) უნარი აქვს (მისი მხსნელი!).

მაგრამ პატივმოყვარეობა არ არის მისი ერთადერთი პრინციპი. იგი შემოქმედი ადამიანია, მეოცნებე და იშვიათად გაფანტული, მხიარული ხასიათის და ბავშვივით მეოცნებე. საკმაოდ განვითარებული ინტუიციის მქონე, მაგრამ ისევ ბავშვივით ჭირვეული და ტრაბახაა.

იგი თავდაჯერებულია, მაგრამ სამჯერ შეეჩხეთ ისეთ ნიშანს, რომელიც ამბობს, რომ ის... მშიშარაც არის. არაფრით არ გვინდოდა ამის დაჯერება, მაგრამ გრაფოლოგიას თავისი კანონები აქვს, რომელიც საკუთარი თავისათვის დაფარულსაც აღმოაჩენს („შეიცან თავი შენი“). საფიქრებელია, რომ იგი ამას თავისი იუმორის გრძნობით აწონასწორებს.

მისი ნაწერი გვეუბნება, რომ ამ ადამიანს ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე აქვს. არ ვიცით, დღეს რა მდგომარეობაა, მაგრამ როდესაც ზემოთხსენებული სტრიქონები იწერებოდა, 1995 წელს, ალბათ, მართლაც ასე იყო.

გაზეთ „საქართველოსთან“ არსებული გრაფოლოგთა სამეცნიერო საბჭო. თანათავმჯდომარე პ.მანძულაშვილი

ლიმონათის ქვეყანა

რომანი

(გაგრძელება)

თენგიზ კიტოვანი

ეს დარბაისელი კაცი კი, რომელიც ღრმად ჩაფიქრებულა (ალბათ, ქვეყნის მომავალზე), ფრთხილი და მეწვრილმანეა, მაგრამ მფლანგველია ქონების განკარგვის საქმეში. მის ცხოვრებაში მრავალი ადამიანი იღებს მონაწილეობას, მაგრამ ხშირად მოუვლის თავში და ყველას გაყრის ხოლმე, თუმცა, დიდი ხნით არა. თავდაჯერებულობა აკლია, სენტიმენტალურია და ხშირად მოწყენილი. მისი განწყობა, ენერგია კვირის დღეების მიხედვით იცვლება.

თავს მაინც ყოველთვის კარგად გრძნობს, საქმეები ცუდადაც რომ მისდიოდეს, მაინც განიცდის დისკომფორტის გრძნობას, რის გამოსწორებასაც სხვების შევიწროების ხარჯზე ცდილობს. სუსტი ნებისყოფა აქვს, საქმეში სულმოკლეა და კარგად დაწყებულს ცუდად ამთავრებს ხოლმე. სამაგიეროდ საქმის დასაწყისში დიდ მუყაითობას იჩენს.

თავმომწონეა, ცნობისმოყვარე, რაც ხშირად კეთილად წაადგება. უხასიათოა, მაგრამ მისი გარემოცვა ეხმარება ხასიათის გამოკეთებაში.

იგივე საბჭო, იგივე თანათავმჯდომარე

ამ კანონით უკანონობას დააკანონებთ

დავით კუპრეიშვილი



პარლამენტში განიხილება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის" შესახებ კანონპროექტი, რომელზეც დიდადაა დამოკიდებული საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ხვალინდელი დღე, ამიტომაც ჩვენ მას განვიხილავთ არა მარტო როგორც უმნიშვნელოვანეს იურიდიულ, არამედ როგორც პოლიტიკურ დოკუმენტს.

დავიწყოთ იქიდან, თუ რას ისახავს მიზნად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომზადებული ეს კანონპროექტი.

პირველ ყოვლისა, ეს არის მცდელობა დემოკრატიის ნიღბის ქვეშ დაკანონებულ იქნას მმართველობის ის დესპოტური სისტემა, რომელიც წარმატებით მოქმედებდა ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში და დღესაც საფუძველს უმაგრებს საქართველოში გამეფებულ ერთმმართველობას, ავტორიტარიზმს.

კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, რომ წელიწადნახევარია მუშაობენ მასზე და მრავალი ქვეყანა შემოიარეს გამოცდილების შესასწავლად.

დაბეჯითებით გვინდა განვაცხადოთ, რომ ამდაგვარი კანონპროექტის შესაქმნელად სულ არ იყო საჭირო წელიწადნახევარი საზღვარგარეთის ქვეყნებში ხეტიალი და საქართველოს უკიდურესად გაღატაკებული და დამშეული მოსახლეობის ჯიბიდან ამოცინცლული ათეულ ათასობით დოლარის ხარჯვა. ამისთვის სრულიად საკმარისი იყო ერთი დღე-ღამე და 1991 წ. „ადგილობრივი თვითმმართველობისა" და „ადგილობრივი მმართველობის" შესახებ კანონებში პრეფექტის ნაცვლად გამგებლის ჩაწერა.

მაგრამ აქ სულ სხვა რამეშია საქმე და ძაღლის თავიც სულ სხვაგანაა დამარხული.

დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლებას სრულებით არ აძლევს ხელს დემოკრატიული ადგილობრივი არჩევნების ჩატარება. დიახ, კანონპროექტის შემუშავების ორი წლის განმავლობაში ხელოვნურად გაწელვა და პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე სრულიად უვარგისი პროექტის განსახილველად „შემოგდება" იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა და წელს რომ შეუძლებელი ხდება არჩევნების ჩატარება, ეს მას სრულებით არ ანაღვლებს, პირიქით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ არჩევნები არ ჩაატაროს, ვინაიდან დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში დღევანდელი მმართველი კლანი პირწმინდად წაგებს ყველა რაიონსა თუ ქალაქში არჩევნებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1995 წ. 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ტოტალური ფალსიფიკაციისა და ძალადობის პირობებშიც კი მოქალაქეთა კავშირმა არჩევნებზე მოსული ამომრჩეველების ხმების მხოლოდ 21% მიიღო.

როდესაც საუბარია ხელისუფლების მიერ არჩევნების ჩაშლის მცდელობაზე, მხედველობაში გვყავს როგორც კანონპროექტის შემმუშავებელი აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე საკანონმდებლო.

ბუნებრივია, თუკი არ ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული არჩევნები, საქართველოს პრეზიდენტი შეინარჩუნებს დღევანდელ ვითარებას, როდესაც იგი ერთპიროვნულად მართავს სახელმწიფოს.

მეორე მხრივ, არც საპარლამენტო უმრავლესობას აძლევს ხელს არჩევნების ჩატარება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქალაქეთა კავშირი სრულებით დაკარგავს ადგილობრივ ხელისუფლებაში იმ გავლენასაც კი, რომელიც დღესდღეობით გააჩნია. ამაზე მეტყველებს პარლამენტის თავმჯდომარის ზ.ჟვანიას ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ არაფერი დაშავდება, თუკი არჩევნები გაიმართება მომავალი წლის გაზაფხულზე და ასე დაუსრულებლად.

ეს არის ამ კანონპროექტის მიღება-არმიღების თაობაზე არსებული სიტუაციის ერთი მხარე, რომელიც მიმართულია არჩევნების ჩაშლისკენ. არადა, როგორი რიხით გვპირდებოდნენ ამ წლის დასაწყისში პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარეც, რომ საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტი აუცილებლად მიიღებდა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონს, ხოლო შემოდგომაზე ჩატარდებოდა თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ ამგვარი დესპოტური კანონის მიუღებლობა ოპოზიციური პარტიების პროტესტებს გადააბრალოს.

მეორე მხრივ, შესაძლებელია კანონპროექტს სხვა ბედიც ეწიოს, რაც ასევე შეუთავსებელია დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპებისათვის, კერძოდ: ვინაიდან დღეს უკვე აღარ არსებობს არანაირი შანსი პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის 1 ივლისამდე (საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე) განხილვისა და მიღებისა, შესაძლებელია პარლამენტმა მოახდინოს ამ კანონპროექტის ფორსირებული განხილვა-მიღება სექტემბერ-ოქტომბერში და დანიშნოს არჩევნები კანონის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ამით ხელისუფლება, ერთი მხრივ, ვალმოხდილად ჩათვლის თავს ჩვენი დასავლელი მეგობრებისა და ოპოზიციური პარტიების წინაშე – მან ხომ შეასრულა პირობა, მიიღო საარჩევნო კანონი და დანიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, – მეორე მხრივ, ხელისუფლება შექმნის თავისთვის კარგ პირობებს არჩევნების გაყალბებისათვის. ამის მდიდარი გამოცდილება დღევანდელ ხელისუფლებას საკმაოდ აქვს. განა ამაზე არ მეტყველებს თუნდაც 1995 წ. 5 ნოემბრის არჩევნების მასობრივი, ტოტალური გაყალბება, ან ის ფაქტი, თუ როგორ კარგად მოახერხა დღევანდელმა მმართველმა პარტიამ – მოქალაქეთა კავშირმა გამგებლების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურების მეშვეობით არჩევნების მოგება. დღეს ის ხალხი ისევ თანამდებობებზეა და კვლავ მზად არიან ასევე გააყალბონ ადგილობრივი არჩევნები, მითუმეტეს, რომ პროგრესულ, მემარჯვენე, დემოკრატიულ და პროდასავლურ პოლიტიკურ პარტიებს დღევანდელი მმართველი პრორუსული, კოლაბორაციონისტული და მემარცხენე ძალებისაგან განსხვავებით არანაირი საშუალება არ აქვთ მოკლე ვადიანი არჩევნებისთვის სრულფასოვნად მომზადებისათვის. ყოველივე ამას თან ერთვის პარლამენტის მიერ დღეს უკვე მიღებული წესი საარჩევნო კომისიების მხოლოდ მმართველი პარტიების წარმომადგენლებით დაკომპლექტების თაობაზე.

მაშასადამე, ოპოზიციურ პარტიებსა და დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მთლიანად ესპობათ არჩევნების გაკონტროლების საშუალება.

ასეთ ვითარებაში საკითხი უკვე ასე დგება: საერთოდ ღირს კი ისეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რომელიც ყველამ წინასწარ იცის, რომ გაყალბებული იქნება და რომლის დროს არჩეულ იქნება დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ვითომ თვითმმართველობის ორგანოები, სინამდვილეში კი სრულიად უფუნქციო, სალაყბო საკრებულოები.

ახლა უშუალოდ შევეხოთ ამ კანონპროექტის იურიდიულ მხარეს.

დავიწყოთ პრეამბულით.

აი, რა სწერია პარლამენტისადმი პრეზიდენტის მიმართვაში: „კანონპროექტით გათვალისწინებულია დღევანდელ ეტაპზე თვითმმართველობების ჩამოყალიბების როგორც ინსტიტუციური (თვითმმართველობის ტრადიციის არარსებობა, ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების გაურკვევლობა), ისე სოციალ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები...

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს სრული თვითმმართველობის გატარების ობიექტური წინაპირობები (ადგილობრივი კადრების პროფესიონალიზმი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში, სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრების პრაქტიკა, სათანადო „თვითმმართველობითი" მენტალიტეტი და სხვ.)". იგივეა განმეორებული განმარტებით ბარათში.

ნუთუ საქართველოს პრეზიდენტს ჩვენგან სჭირდება შეხსენება, რომ თვითონ ორგანოების არჩევნები გამგებლისა და ძალისმიერი სტრუქტურების უდიდესი ზეწოლითა და დიქტატით ჩატარდება და შედეგად მივიღებთ დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულ გამგებლის ყურმოჭრილ მონა-საკრებულოს.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, თითქოს დანიშნული გამგებლები საზღვრისპირა რაიონებში აღკვეთენ სეპარატისტული განწყობილებების გაღვივებას, ესეც შირმა და ფიქციაა. განა ცოტა ვიცით მაგალითები, როდესაც საზღვრისპირა რაიონებში დანიშნული გამგებლები არათუ ხელს უშლიან სეპარატისტული განწყობილებების გაღვივებას, არამედ პირიქით, ასეთი სეპარატისტული მოძრაობების ლიდერებად გვევლინებიან, რად ღირს თუნდაც 1995 წ. აგვისტოში ახალქალაქის ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ საქართველოს პარლამენტის და სახელმწიფოს მეთაურის სახელზე გამოგზავნილი ცნობილი მიმართვები ჯავახეთის ფედერაციის სუბიექტად გადაქცევის თაობაზე.

როდესაც საქმე ეხება საზღვრისპირა რაიონებში სეპარატისტულ განწყობილებებს, კი ბატონო, შესაძლებელია საზღვრისპირა 30 კილომეტრიან ზოლში მმართველობის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესება, მაგრამ 2-3 რაიონის გამო შეიძლება გავამართლოთ მთელს საქართველოში ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული მმართველობის დაწესება?

ჩვენ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას გამგებლების დანიშვნის პრინციპზე, რომ ამ კანონპროექტის და საერთოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი საკითხია, თუ როგორი წესით ხდება რაიონისა თუ ქალაქის ხელმძღვანელის არჩევა ან დანიშვნა.

კანონპროექტის მე-6 მუხლში ჩამოთვლილია თვითმმართველობის განხორციელების შემდეგი პრინციპები:

ა) ადგილობრივი მოსახლეობის უფლება აირჩიოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო და მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში;

გ) საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

დ) კანონმდებლობის დაცვა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე;

ვ) საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თუკი პარლამენტი მიიღებს შემოთავაზებულ კანონპროექტს, ყველა ეს პრინციპი სრული ბლეფი აღმოჩნდება, ვინაიდან სავსებით ნათელია, რომ დეფაქტიდან ერთპიროვნულად დანიშნული რაიონისა თუ ქალაქის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე და სავსებით გამორიცხულია მის საქმიანობაში ყველა ზემოთჩამოთვლილი პრინციპის განხორციელება. სვათაშორის, ზოგიერთი გამგებელი არც მალავს ამ ფაქტს და პირდაპირ აცხადებს, რომ ის არავითარი პასუხისმგებელი არ არის მოსახლეობის წინაშე და მხოლოდ პრეზიდენტს ემორჩილება.

კანონპროექტის ავტორები ჩვენთვის არც თვალებში ნაცრის შეყრას უკადრისობენ. ამის ნიმუშია მე-7 და მე-8 მუხლები. მე-7 მუხლში ჩამოთვლილია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება სულ რამოდენიმე უმნიშვნელო ფუნქციით: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, გარემოს დაცვა, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და ა.შ. სამაგიეროდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია მე-8 მუხლის თანახმად მოიცავს უზარმაზარ ფუნქციებს, ე.ი. კანონპროექტის ავტორები გვეუბნებიან, ხედავთ, ჩვენ რა დემოკრატები ვართ, მმართველობის ორგანოებს ძალიან შეეუზღუდეთ უფლებები, სამაგიეროდ თვითმმართველობის ორგანოებს ეს უფლებები მეტისმეტად გავუზარდეთ.

სინამდვილეში კი თვითმმართველობის ორგანო რაიონისა და ქალაქის დონეზე მხოლოდ საკრებულოა, რომლის ფუნქციებია: ადგილობრივი ბიუჯეტის მიღება, ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების მიღება-გაუქმება და ა.შ. მე-13 მუხლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარისა და მდივნის გარდა ყველა სხვა თანამდებობის პირი თავის მოვალეობას ასრულებს უსასყიდლოდ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკრებულო ფაქტიურად არის სალაყბო, ხოლო მე-8 მუხლში ჩამოთვლილი უზარმაზარი ფუნქციები მთლიანად დანიშნული გამგებლებისა და მერების ხელში გადადის.

კანონპროექტის ავტორები კიდევ ერთ ეშმაკობას მიმართავენ, ალბათ ჰგონიათ, რომ ვერავინ მიხვდება მათ ცუღლუტობას, კერძოდ: მე-10 მუხლში წერია: „ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, არ ექვემდებარება სასოფლო ზონა და რომლის თანამოსახელე რაიონიც არ არსებობს (ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი) თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა მერია".

ის, რაც მე-10 მუხლის მეორე პუნქტში სწერია, არის აბსოლუტური სიცრუე, ვინაიდან ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ქალაქის მერს და მის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე – ამ რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხოლო მერიის (გამგეობის) აპარატის სტრუქტურას განსაზღვრავს თვით მერი. მაშასადამე, როგორ იქნება მერია (გამგეობა) თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, როდესაც არანაირი შეხების წერტილი არ აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან?

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა რაიონის გამგებლებთან მიმართებაში, ოღონდ ახლა უკვე იმ განსხვავებით, რომ რაიონში თვითმმართველობის ნაცვლად გვაქვს მმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. მე-11 მუხლის თანახმად რაიონის მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის საკრებულოების მიერ თავის შემადგენლობიდან არჩეული თითო წარმომადგენლისგან

გაგრძელება მე-8 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტმა გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვა

22 ივნისს სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა „სტუდენტური დღეების“ ჩარჩოებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოების ცერემონიალი. საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის 28 სტუდენტს და თითოეული 500 ლარით დააჯილდოვა. როგორც მან აღნიშნა, ამგვარი ღონისძიებები ტრადიციად უნდა იქცეს. მისივე თქმით, ყველაზე წარჩინებულ ასპირანტთათვის დაწესდა საქართველოს პრეზიდენტის პრემია 200 ლარის ოდენობით, რომლის იდეაც პარლამენტის თავ-რეს ზ.ჟვანიას ეკუთვნის. წლეულდელ ბიუჯეტში ამისათვის გამოყოფილია 300000 ლარი, ხოლო მომავალი წლიდან თანხა გაორმაგდება.

სახელმწიფო მინისტრის ნ.ლეკიშვილის თქმით, სამეცნიერო კონფერენციები მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. მან მადლიერებით მოიხსენია ქვეყნის პრეზიდენტი ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის. (იფრინდა)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეძებს სნაპლოებს «ქართულ-აფხაზური დარეგულირების ოქმის» პროექტს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საფუძველიანად სწავლობს რუსეთის, როგორც შუამავალი მხარის მიერ შემოთავაზებულ „ქართულ-აფხაზური დარეგულირების ოქმის“ პროექტს. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს.

წყაროს თქმით, ოქმის პროექტის თანახმად, საეჭვოა, რომ აფხაზეთი სამანეთო ზონაში დარჩება. გარდა ამისა, დოკუმენტის ერთ-ერთი დებულების თანახმად, საქართველო და აფხაზეთი დამოუკიდებლად საზღვრავენ პოლიტიკას საკუთარი უსაფრთხოების სფეროში. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზა გუდაუთაში დარჩება, რაც აფხაზური ხელისუფლების სურვილიცაა.

როგორც წყარომ აღნიშნა, რუსეთის მხარე თბილისსა და სოხუმს შორის მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებებს რაიმე დროებით ჩარჩოებს არ უკავშირებს, კერძოდ, 31 იელისს, როდესაც რუსეთის სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა ეწურებათ.

როდის გაგრძელდება სამმხრივი კონსულტაციები, ცნობილი არ არის, თუმცა წყარო ეარაუდობს, რომ შემდეგი რაუნდი ისევ მოსკოვში შედგება. (იფრინდა)

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

ბინები

იყიდება 2 სართულიანი გარემონტებული ბინა, 200 კვმ ეზოთი, მიმდებარე ადგილზე ნაკვეთით, 500 კვმ ხეხილით. საწყისი ფასი 14000 დოლარი. მის. სოფგლდანი, სტალინის 12, იკითხეთ გია ბურდული

იყიდება საკუთარი სახლი ორთაჭალაში, კეთილმოწყობილი, საცხოვრებელი ფართი 80 კვმ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ტელ. 72-26-31 (17 სთ-ის შემდეგ)

იყიდება 2 სართულიანი კერძო ბინა ღრმაღელის 104. კეთილმოწყობილი, ხეხილიანი ეზოთი. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 12000 ლარი. ტელ. 60-62-42

იყიდება კერძო 2 სართულიანი სახლი ბორჯომში (5 ოთახი), ეზოთი და ავტოსადგომით. ან იცვლება 2 ოთახიან ბინაზე თბილისში. თანხის დამატებით. ფასი 25000 ლარი. ტელ. 36-56-40

იყიდება სანზონაში ერთოთახიანი ბინა, გარემონტებული, სარდაფით, ტელეფონით. ტელ. 61-97-45

იყიდება მაღალჭერიანი 2 ოთახიანი სუფთა ბინა 40 კვმ დიდუბის რ-ში, ბორჯომის ქუჩაზე. 2 სართულიანის მე-2 სართულზე, რკინის კარით, სარდაფით და ავტოფარეხით. საწყისი ფასი 12000$ ტელ. 61-51-11; 98-75-15 (თემური).

იყიდება 3 ოთახიანი გარემონტებული კუთხის სუფთა ბინა ლოჯიით საბურთალოს ქუჩაზე. 8 სართულიანი სახლის მე-6 სართულზე. საწყისი ფასი 26000$ ტელ. 38-98-74; 38-95-28

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა მთაწმინდაზე (18+26), ტელეფონით, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ბინა იტალიური ტიპისაა. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

ვცვლი ან ვაქირავებ 1,5 ოთახიან ბინას, ამოშენებული ლოჯიით, მეტრო „ვარკეთილიდან“ 700 მეტრის მანძილზე. გავცვლი ეფა-ფშაველას გამზ. IV-V-VI-VII კვარტლის ან ნუცუბიძის პლატოს რომელიმე ფერდობის ტოლ მოცულობის ბინაზე. ტელ. 73-02-69; 31-14-58 თამარა, ციალა

იყიდება მთაწმინდაზე 4 ოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით. 3 სართულიანის მე-3 სართულზე. ფასი საწყისი 20000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

იყიდება 4 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. II მ-ში, ჩეხური პროექტის, ფასი 15000$ ტელ. 99-57-64

იყიდება 3 ოთახიანი ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან ახლოს. ფასი 8000 დოლარი. ტელ. 60-75-18

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა. ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის სუფთა ბინა ეფა-ფშაველას პროსპექტზე. დიდი სარდაფით. ტელეფონით. საშუალო რემონტით. საწყისი ფასი 15500$ ტელ. 30-45-96

იყიდება 2 ოთახიანი არატიპიური 80 კვმ გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. არის მომატების პერსპექტივა და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ტელ. 38-35-34 (დილით ან საღამოს საათებში)

იყიდება ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა ქალაქის ცენტრში ტელეფონით, მანქანის სადგომით და სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

იყიდება სასწრაფოდ 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 36 კვმ მიშენებით მე-2 სართულზე, საერთო ფართი 115 კვმ, ნახევრადგარემონტებული, ფასი 35000 დოლარი. ტელ. 37-30-64

იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში მე-3 მ/რ-ში, თუხარელის პროექტი, 14 სართულიანის მე-5 სართულზე. კარ-ფანჯრები არა აქვს. საწყისი ფასი 4000$ ტელ. 95-30-47

იყიდება ერთოთახიანი პრივატიზებული სუფთა ბინა 16 კვმ ფართით. ეფა-ფშაველაზე, კომაროვის სკოლის ახლოს, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართ. იზოლირებული, ტელეფონით, მუდმივი დენით, არის მიშენების ფართიც. ფასი 8000$ ტელ. 67-64-67 იკითხეთ ბაჩო ან თემური

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა გორგასლის №11-ში. საერთო ფართი 34 კვმ, I სართული, „ბალნეოლოგიურის“ გვერდით, იტალიურ ეზოში. ტელ. 72-47-48 ზურიკო

იყიდება რუსთაველზე 1 ოთახიანი პრივატიზებული ბინა 14 კვმ, სამზარეულო საერთოა მხოლოდ ერთი მეზობლისთვის, საპირფარეშო საკუთარი, არის აბაზანის გაკეთების საშუალება. ბინას აქვს დიდი აივანი, ფასი 4500$ ტელ. 72-47-48 ალიკა ან ნატაშა

იყიდება ან იცვლება 2 ოთახიანი ბინა, დიდი დიღმის III მ/რ (13X3) ტელ. 38-08-05

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ეფა-ფშაველას II კვარტალში დიდი მიშენებით. რკინის კარით, გისოსებით, ატმორით. საერთო ფართი 100 კვმ მიშენების კედლები ამოყვანილია. IV სართულიანის მე-2 სართულზე. ფასი 17000 დოლარი. ტელ. 31-08-42; 93-57-84

იყიდება ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა (18+26) ქალაქის ცენტრში, ბინა იტალიური ტიპისაა. აქვს სარდაფი, ტელეფონი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

პრივატიზებული 3 ოთახიანი ბინას ლოჯიით (სუფთა კუთხის ბინა), 8 სართულიანის მე-7 სართულზე ტელეფონით, სარდაფით დიღმის მასივში, კინოსტუდიასთან ახლოს ვცვლი მხოლოდ საკუთარ სახლზე, იზოლირებული ეზოთი, თანხის დამატებით. მშენებარე სახლს ნუ შემომთავაზებთ. ტელ. 51-76-11 დათო

იყიდება ან იცვლება ორსართულიანი ახალი კაპიტალური სახლი ლანჩხუთიდან თბილისის ცენტრალურ რაიონებში, საცხოვრებელი ფართი 220 კვმ ეზოიანად 3000 კვმ, ავტოფარეხით, ხეხილით. ტელ. ბორჯომში 2-07-32 ინა, დალი

ვყიდი ოროთახნახევრიან ბინას, მეტრო „ისანთან“ ქეთევან წამებულის ქ.№67 ბ. №64, საწყისი ფასი 10000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

ვყიდი კიევში სამოთახიან ბინას დარნიცის რაიონში. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

სხვადასხვა

იყიდება რუმინული სამზარეულო; იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი“, ეკრანი 72 სმ დიაგონალი; იაპონური ვიდეო-მაგნიტოფონი „პანასონიკი“; ტელევიზორი „იუნოსტი“; კონდენციონერი „ბკ-1500“; საბავშვო მანქანა (ქართული შრიფტი); საკერავი მანქანა „პოდოლსკი“; წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება; ტრანზისტორი „ოკეანე“. ტელ. 72-26-31 (17 სთ-ის შემდეგ).

იყიდება ეგვიპტური წარმოების სამეული მისაღებისათვის. ფასი 950 დოლარი. ტელ. 61-11-39; 61-25-48

იყიდება 600 კვმ მიწის ნაკვეთი წყნეთში. ყოფილი კამოს ქ.№3-ში, ახლანდელი ფიროსმანის. ტელ. 95-87-11; 61-11-39

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია. ფართი 200 კვმ, აქვს საწყობი, 25 კვმ, ტელ. 72-26-31 (17 სთ-ის შემდეგ).

იყიდება კაფელი 15-20 სმ – ფასი 8 ლარი, სააბაზანო მოწყობილობა „ტულპანი“. ფასი 160 ლარი, დარეკეთ 60-26-06 ირინა

ქირავდება

ქირავდება 2 ოთახიანი ბინის ერთი ოთახი ერთ გოგონაზე. მთაწმინდაზე. ყიფიანის №7, ფასი 40 ლარი. ტელ. 99-09-49, ნაზიკო.

ქირავდება ოთახი კომერციული საქმიანობისათვის, მეტრო „წერეთელთან“. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-68-38; 98-40-29

ვასწავლი

შევასწავლი ხელით ქარგვას შეღავათიან ფასებში (მაქვს კარგი სქემები). შესაძლებელია სახლში მისვლაც. ტელ. 96-57-46

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სწავლების ვადა ოთხი თვე. ტელ. 98-34-65

ვულოცავთ

ჩვენს საყვარელ დედიკოს **მანანა ბზიკაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ეუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს. შენი სითბო და სიხარული ნუ მოგვკლებოდეს.

ნათია და მაია
მაზიაშვილები

ხათუნა მახარაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს თაეის შვილ ვასიკოსთან ერთად. ეუსურვებთ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას.

მახარაძეებისა და
ავლოხაშვილების ოჯახი



დედა სონია, მეუღლე ვიოლეტა, შვილები მიხეილი, მარინა, დები მერი, ნარგიზა, შვილიშვილები მაკა, ეკა, სიძე სერგო თავხელიძე, დეიდა ჟენია ევგენიძე, დისშვილები იაგორ, ირაკლი, ირინა კალანდაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ მიხეილის ძე აბულაძე

პანაშვიდი: 24, 25 ივნისს 17.00 სთ-ზე
დაკრძალვა: 26 ივნისს 15.00 სთ-ზე
მისამართი: ეფა-ფშაველას I კვარტალი, VII კორპუსი (კომაროვის სკოლასთან).

საქართველოს მხარემ ლიტვას ორმხრივი თანამშრომლობისაკენ მოუწოდა

აფხაზეთიდან სამშვიდობო ჯარების გაყვანის პრობლემების საერთაშორისო დონეზე განხილვის საქმეში თანადგომისათვის ლიტვას, კერძოდ, ლიტვის სეიმის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანდრიუს კიბიუსს მიმართა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი კობახიძემ. ქართველმა პარლამენტარებმა ვილნიუსის შეხვედრაზე განაცხადეს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ საგრძნობლად დაიძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ამიტომაც, მათი განცხადებით, ეს პრობლემა საერთაშორისო განხილვას იმსახურებს. ქართული მხარე აღნიშნავს, რომ საქართველო დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანაა და სწორედ ამიტომ მიმართავს ის ლიტვას, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს დასავლეთ ევროპის სტრუქტურებთან თანამშრომლობისათვის.

ლიტვას გიორგი კობახიძემ ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ბოლო დროს ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებს შორის. ლიტვას საქართველოს მიმართ ერთგვარი ლოდინის პოზიცია უყვია. ამის დასტურია ის, რომ ადრე ხელმოწერილ ზეიდვე ხელშეკრულებას გაუკეთა რატიფიცირება ლიტვამ – მხოლოდ ერთს. (მოამზე-ექს-პრესი).

საქართველოს ხელისუფლება ფოთში ბაზირებული შავი ზღვის ფლოტის ხომალდების უკან დაბრუნებას ითხოვს

„საქართველოს ხელისუფლება ადრე ფოთში ბაზირებული შავი ზღვის ფლოტის ხომალდების უკან დაბრუნებას დაჟინებით მოითხოვს. რუსი სამხედროების განცხადება იმის თაობაზე, თითქოს რუსეთმა ფოთის დატოვებისას ქართულ მხარეს სამხედრო გემების ნაწილი და სახმელეთო ინფრასტრუქტურა გადასცა, უპასუხისმგებლოა და არ შეეფერება სინამდვილეს“ – განაცხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა კობა ლიკლიკაძემ. მისივე ინფორმაციით, ფოთში 1992 წელს ბაზირებული იყო 28 სამხედრო ხომალდი, იმავე წელს კი პორტი 26 ხომალდმა დატოვა. ამგვარად, ფოთში დარჩა მხოლოდ ორი სადესანტო ხომალდი. რაც შეეხება სამხედრო ჭონებსა და ინფრასტრუქტურას, ლიკლიკაძის განცხადებით, სპეციალური კომისიის მიერ რუსეთის ჯარების ფოთიდან გასვლის შემდგომ პორტის მდგომარეობის შესახებ შედგა აქტი, სადაც დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია, რომ ფოთიდან გაიტანეს თითქმის ყველაფერი, ხოლო რაც დარჩა, მიზანმიმართულად გაანადგურეს. (მოამზე-ექს-პრესი)

ამ კანონით უკანონობას დაკანონებთ

მეექვსე გვერდიდან

შემდგარი რაიონის საკრებულო.

რაც შეეხება რაიონის მმართველობის აღმასრულებელ ორგანოს – გამგეობას, აქაც გამგებელი და მისი მოადგილეები იმავე წესით ინიშნებიან, როგორც ქალაქის მერი და მისი მოადგილეები, იმავე წესით ყალიბდება გამგეობის აპარატიც. აქაც გამგებელსა და გამგეობას მიუჯეტის დამტკიცების გარდა არავითარი შეხების წერტილი არ აქვს წარმომადგენლობით ორგანოსთან.

ამ კანონპროექტში წარმომადგენლობითი ორგანოები რომ მხოლოდ ფიქციას წარმოადგენს, იქიდანაც ჩანს, რომ მე-12 მუხლით საკრებულოს შეუძლია მხოლოდ დააყენოს საკითხი პრეზიდენტის წინაშე და ისიც საკრებულოს წევრთა ხმების 2/3-ით რაიონის გამგებლის ან ქალაქის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. კანონპროექტში სხვა არაფერია ნათქვამი, ხოლო საკითხის დასმა თავისთავად არაფერს ნიშნავს.

თუკი ეს კანონპროექტი იქნება მიღებული, მაშინ დაკანონდება კიდევ ერთი მახინჯი მოვლენა რაიონებისა და ქალაქების მმართველობაში, როგორიცაა ორხელისუფლებიანობა ზოგიერთი ქალაქის მმართველობაში (თელავი, გორი, სიღნაღი და ა.შ.). კანონპროექტის ავტორები, ერთი მხრივ, თითქოს ზრუნავენ სახელმწიფო ხაზინაზე და ბიუჯეტის ხარჯებზე, მაგრამ მეორე მხრივ, აკანონებენ ერთდროულად როგორც ქალაქის მერისა და მისი კაბინეტის (რომელსაც ირჩევს ქალაქის საკრებულო და რომელიც ფაქტიურად უფუნქციო ორგანოა), ასევე პრეზიდენტის მიერ დანიშნულ გამგებლის ინსტიტუტს.

და ბოლოს, თუკი პარლამენტი მიიღებს კანონპროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", იგი წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლთან, სადაც ნახსენებია თვითმმართველობის ორგანოების შექმნის, ფუნქციონირების და სახელმწიფო ორგანოებთან ანუ კონსტიტუციით უკვე დაკანონებულ ორგანოებთან მათი ურთიერთობების თაობაზე, რაც შეეხება მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, კონსტიტუციით ასეთი რამ საერთოდ და მით უმეტეს თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომაც კანონის ამ სახით მიღება ყველა „სიკეთესთან" ერთად ანტიკონსტიტუციურიც იქნება.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენება ამ კანონპროექტის ნაკლოვანი მხარეები წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთობის კუთხით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მთავარი ღერძი ამ კანონპროექტისა სწორედ ეს არის.

დასკვნა კი მხოლოდ შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი: კანონპროექტი ვერ გამოდგება სამუშაო ვარიანტადაც კი.

გამოსავალი ერთია: მერაბ კოსტავას საზოგადოებაში შემუშავებულია კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა პრინციპზე.

უმთავრესი ღირსება ჩვენი კანონპროექტისა არის ის, რომ ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მთელი საქმიანობა ხორციელდება ამომრჩევლების, საქართველოს თითოეული მაცხოვრებლის უმკაცრესი კონტროლის ქვეშ და სწორედ ჩვენ კანონპროექტშია ყველაზე უკეთესად დაცული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. ალბათ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ დღევანდელ ავტორიტარულ სახელმწიფოში, ასეთი კანონი არავის სჭირდება და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი თვე გავიდა ამ კანონპროექტის დაბეჭდვიდან მერაბ კოსტავას საზოგადოების გაზეთ „სარანგში" (26 მაისი, 1997 წ), ასევე კანონპროექტი გავუგზავნეთ პარლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტს, როგორც ალტერნატიული ვარიანტი, არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა და სიტყვაც კი არსად დაძრულა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი კანონპროექტის გარდა არსებობს მერაბ კოსტავას საზოგადოებაში მომზადებული ალტერნატიული კანონპროექტი.

პარლამენტი პრესისთვის შეღავათების გაზრდას აპირებს

პარლამენტი კვლავ დაუბრუნდება პრესაზე საგადასახადო შეღავათების დაწესების საკითხს – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა ხიორიძემ. მისი თქმით, პარლამენტის თავმჯდომარე სერიოზულად ფიქრობს პრესისათვის დაწესებული შეღავათების კიდევ უფრო გაზრდაზე. მისივე თქმით, ამ ეტაპზე მეტის გაკეთება ს.ს.ფ.-ის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა.

„საგადასახადო კოდექსის" მიხედვით, რომელიც პარლამენტმა საგაზაფხულო სესიაზე მიიღო, საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს დღგ მოეხსნათ ბეჭდვისა და გავრცელების მომსახურეობაზე. კოდექსის ამოქმედება პირველი სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

კითხვაზე, დღგ-საგან რატომ არ გათავისუფლეს მას-მედიის სხვა საშუალებები, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ კოპალეიშვილმა უპასუხა: „ჩვენ ისედაც ბევრის გაკეთება მოვახერხეთ, ნახეთ სხვა სახელმწიფოები – იქ არაევითარი შეღავათები არ არის მას-მედიაზე". (პრაიმ-ნიუსი)

ინვალიდები შიმშილობის აქციით იმუქრებიან

გუშინ საქართველოს პარლამენტის შენობასთან საქართველოს ინვალიდთა საკოორდინაციო საბჭოს ოცდაათამდე წევრი შეიკრიბა. პრაიმ-ნიუსს სრულიად საქართველოს ინვალიდთა და ვეტერანთა წმინდა თამარ მეფის ორდენის მაგისტრმა ვახტანგ ჯორჯიკიამ განუცხადა, რომ შეკრებილთა ძირითად მოთხოვნას ინვალიდთა შესახებ კანონის აღდგენა წარმოადგენს.

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ინვალიდების შესახებ, რომელიც გაეროს მიერ შემუშავებულ ინვალიდების შესახებ წესებს ემყარება. აღნიშნული კანონის თანახმად ინვალიდებს კომერციული საქმიანობისა და ფონდების შექმნის უფლება ემლეოდათ. ჯორჯიკიას თქმით, მოღვაწეობის ექვსი თვის განმავლობაში ორდენმა ინვალიდებს 50 ათასი ლარის ოდენობის დახმარება გაუწია. გარდა ამისა, ქვეყანაში დაუბეგრავად, თავის ფასში შემოდიოდა ინვალიდთა ეტლები და პროთეზები.

1996 წლის 1 მარტს პარლამენტმა მიიღო ბიუჯეტი, რომელმაც ინვალიდთა შესახებ კანონის სრული ბლოკირება მოახდინა. ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით დაბეგვრას ყველა ორგანიზაცია დაექვემდებარა.

ინვალიდთა პენსია თვეში 12 ლარს შეადგენს, რაც საჭმელზეც არ კმარა. ვახტანგ ჯორჯიკიას თქმით, ინვალიდებს დღეს მხოლოდ ორი უცხოური ორგანიზაცია უწევს დახმარებას – **Caritas** და **Acts-Georgia**.

– ჩვენ შიმშილობას დაიწყებთ, თუ პარლამენტმა დღესვე არ შეიტანა დღის წესრიგში ჩვენი მოთხოვნის განხილვა, მაგრამ ჩვენ არ გვსურს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა და თუ ჩვენს კანონს არ აღადგენენ, ნებისმიერ ქვეყანაში წავალთ, სადაც ჩვენ მიგვიღებენ – აღნიშნა ჯორჯიკიამ. (პრაიმ-ნიუსი)

ბორის კაკუბავა ბახჩისარაიში ვიზიტის შედეგით კმაყოფილია



დასტანის დედაქალაქ მახაჩკალიდან 22 ივნისს დაბრუნებულმა საქართველოს პარლამენტის წევრმა ბორის კაკუბავამ „მოამბე-ეჭსპრესის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ იგი ქართველ პარლამენტართა ვიზიტით მახაჩკალაში კმაყოფილია, სადაც 21 ივნისს ურუსეთი კავკასიის მომხრე კავკასიელ ხალხთა ასამბლეა დაფუძნდა.

დეპუტატმა კაკუბავამ ასამბლეის დაფუძნების დეტალების კომენტარისაგან თავი შეიკავა და ყველა დაინტერესებული ჟურნალისტი ოთხშაბათს ორ საათზე პარლამენტის კინოდარბაზში დანიშნულ პრეს-კონფერენციაზე მიიწვია. (მოამბე-ეჭ-პრესი)

ე.წ. «სამხრეთ ოსეთი» რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის თარიღს იზეიმებს

13 ივლისი, სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის მეხუთე წლისთავი, ცხინვალში სადღესასწაულო ღონისძიებებით აღინიშნება, რომელსაც სპეციალურად შექმნილი სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტი ამზადებს.

პრაიმ-ნიუსმა სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ დღესასწაულის მოწყობის ინიციატივით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალების შემოსვლა „ისტორიულ მოვლენად" მიაჩნია.

– რეგიონში სამშვიდობო ძალები მას შემდეგ იქნა შეყვანილი, რაც სამხრეთ ოსეთში ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს 1992 წლის 24 ივნისს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა დაგომისში გამართულ შეხვედრაზე.

ლუდვიგ ჩიბიროვი თვლის, რომ სამხრეთ ოსეთი „იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ ეძიძლება გაამართლოს შესაბამისმა სამშვიდობო აქციამ" და რეგიონში სამშვიდობო ძალების ყოფნა თავისი რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტად მიაჩნია.

ჩიბიროვი კატეგორიულად უარყოფს სეპარატისტული შეთანხმებების და ოფიციალური კონტაქტების არსებობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის. თუმცა, მისი თქმით, ვინაიდან დიდად წააგავს ერთმანეთს სოხუმისა და ცხინვალის პრობლემები, აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენლებს შორის სისტემატურად მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა, თუნდაც, მოსკოვის შეხვედრებზე. (პრაიმ-ნიუსი)

კროსვორდი



თარაზულად: 1. კლავიშიანი ინსტრუმენტი; 5. მხარე, საიდანაც იყო ნინო, ქართველთა განმანათლებელი; 6. ცელქი, ანცი; 9. მითიური მებრძოლი ქალი; 10. დიდი ზომის ჩაქუჩი; 11. ციები იარაღი, მოკლე, მოღუნული და ორპირი; 12. საფრანგეთის რევოლუციის ცნობილი მოღვაწე, პარიზის კომუნის ერთ-ერთი დამაარსებელი; 15. უეშმაკო, გულუბრყვილო; 17. სასაცილო, უცნაური ამბავი, შემთხვევა; 19. გეოგრაფიული რუკების კრებული; 20. პატარა ტყე, ბუჩქნარი მინდორში ან მდინარის პირას; 21. ხორბლის დაქუცმაცება, ფქვილად ქცევა; 22. ოდნავ შესამჩნევი განსხვავება რამეში; 23. ინდონეზიის დედაქალაქი; 26. გადაჭარბებული თავმოყვარეობა, ღირსების გამძაფრებული გრძნობა; 27. მაგნიტი; 29. მეცნიერება ადამიანის ორგანიზმის აგებულების შესახებ; 30. პატარა გემი; 31. მდინარეების: დნესტრის, პრუტის და დუნაის ქვემო დინების შორის ტერიტორიის ძველი სახელწოდება; 32. სუსტი სუნის უფერო სითხე, უმარტივესი არომატული ამინი.

შვეულად: 1. ძველბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, ცხოვრობდა 427–347 წლებში ჩ.წ. აღრიცხვამდე; 2. სამუშაოს მექანიკურად შემსრულებელ ელექტროხელსაწყოების ერთობლიობა; 3. გარემოსგან გამოყოფილი ადგილი ავადმყოფისთვის, დამნაშავისთვის; 4. მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღვთაება ძველ ეგვიპტეში; 7. საქონლის ფარულად გატანა ან შემოტანა სახელმწიფო საზღვარზე; 8. საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც დასაშვებია კერძო საკუთრება; 13. სიყვარულის რომაული ღვთაება; 14. სახელმწიფო აზიაში; 16. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 17. სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი; 18. საქიმო ხელსაწყო, წვრილი მილი ადამიანის შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად; 24. სოფელი აეროპორტით ქუთაისის მახლობლად; 25. ჟურნალისტიკის საინფორმაციო ჟანრი, რომელიც ოპერატიულად, სათანადო სიზუსტით გვაწვდის ცნობებს მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებზე; 28. გასაგები ხდება, აშკარავდება, მეღავნდება რაიმე; 29. ნივთიერების შემადგენლობის ქიმიური გამოკვლევა, რისამე ყოველმხრივი განხილვა, გარჩევა.

თამუნი ანუქიძე

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444